



პროგრესული საშემოსავლო გადასახადი საქართველოს მოსახლეობისთვის კარგად დავითებული ძველია

რეზიუმე

გიორგი ასათიანი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: asatiani_giorgi@yahoo.com

სტატია წარმოადგენს გამოხმაურებას საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე, რომ საქართველოში მოქმედი პროპორციული საგადასახადო სისტემა შეიცვლება პროგრესული სისტემით.

სტატიაში აღნიშნულია, რომ პროგრესული საგადასახადო სისტემა საქართველოში არსებობდა 2005 წლამდე და ამ სფეროში საქართველო სრულ ჰარმონიაში იყო განვითარებულ მსოფლიოსთან. აღნიშნული საგადასახადო სისტემა სრულიად დაუსაბუთებლად საქართველოში შეცვალა 2004 წელს „ვარდების რევოლუციის“ ეგიდით მოსულმა ახალმა მთავრობამ.

სტატიაში მოცემულია პროგრესული საგადასახადო სისტემის სხვა ქვეყნების გამოცდილება და იმედი იმისა, რომ მისი დანერგვა საქართველოში დროში არ გაიწელება.

საკვანძო სიტყვები: გადასახადი; პროგრესული გადასახადი; საგადასახადო სისტემა; შემოსავლო გადასახადი; გადამხდელი ფიზიკური პირი; დასაბეგრი შემოსავალი.

შესავალი

გადასახადების მრავალსახეობათა მიუხედავად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ყველგან პროგრესული გადასახადია დანერგილი. ეს არის ის გადასახადი, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებს – თანასწორობას, სამართლიანობას და ეფექტიანობას. ამის გარდა, ასეთ დროს საქართველოში, რომელიც მტკიცედ ადგას ევროპული განვითარების გზას, ჯერაც კიდევ პროპორციული საგადასახადო სისტემა მუშაობს და ამ თვალსაზრისით საქართველოს სრულ შეუსაბამობაშია თავის ევროპულ პარტნიორებთან.

სულ რაღაც ორიოდე თვის წინ საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა მ. ბახტაძემ ტელევიზიით პროგრესულ გადასახადზე საქართვე-

ლოს გადასვლა დააანონსა. ამით მან გვაუწყა, რომ იწყებს ქვეყანაში საგადასახადო მეწეუმენტის შეცვლას, აპირებს ახალი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებას.

1. პროგრესული გადასახადი, მისი განსხვავება სხვა სახის გადასახადებისგან და მისი „ავი“ და „კარგი“.

გადასახადების მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია პროგრესული, რეგრესული და პროპორციული გადასახადები [1, გვ. 125-126]. პროგრესული საგადასახადო სისტემის პირობებში მაღალშემოსავლიანი გადამხდელები შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს იხდიან, პროპორციული საგადასახადო სისტემის დროს თითოეული გადამხდელი იხდის შემოსავლის ერთსა და იმავე ნაწილს (პროცენტულად), ხოლო რეგრესული საგადასახადო სისტემის შემთხვევაში მაღალშემოსავლიანი გადამხდელებს ხაზინაში შეაქვთ თავიანთი შემოსავლის უფრო ნაკლები ნაწილი. მაშასადამე, რეგრესული გადასახადის დროს გადასახადის საშუალო პროცენტი მცირდება შემოსავლის ზრდის კვალობაზე [2, გვ. 90].

პროგრესული წესით დაბეგვრის დროს შემოსავლების სიდიდის მიხედვით დადგენილია გადასახადის პროცენტული განაკვეთების შკალა – უმცირესიდან უმაღლესამდე.

განვითარებული ქვეყნების საფინანსო პრაქტიკაში გამოიყენება გადასახადის მარტივი და რთული პროგრესული განაკვეთი. მარტივი პროგრესული განაკვეთის დროს გადასახადის ნაზარდი განაკვეთი მიეყენება დაბეგვრის მთლიან ობიექტს, რთულის დროს კი – დასაბეგრი თანხა იყოფა რამდენიმე ნაწილად, რომელთაგან თითოეულს დაბეგვრის შესაბამისი განაკვეთი გააჩნია. კერძოდ, გადიდებული განაკვეთი მიეყენება არა დაბეგვრის მთლიან თანხას, არამედ მის იმ ნაწილს, რომლითაც იგი მისი წინა ნაწილის მოცულობას აღემატება [3, გვ. 413].

აყალიბებდა რა დაბეგვრის პრინციპებს ადამ



სმიტი მის პირველ პრინციპად ყოველი გადა-
მხედლისაგან გადასახადის ამოღების სიდიდის
მის შემოსავალთან შესაბამისობას თვლიდა. იგი
წერდა: სახელმწიფო ქვეშევრდომებმა მონაწი-
ლეობა უნდა მიიღონ სახელმწიფოს ხარჯების
დაფარვაში ყოველმა მისი შესაძლებლობების
მიხედვით. გადასახადი გადამხდელებს შორის
განაწილებული უნდა იყოს თანაბრად, რაც
გულისხმობს, რომ ყოველი გადამხედლისაგან
გადასახადის ამოღების სიდიდე უნდა შეესა-
ბამებოდეს მის შემოსავალს [1, გვ. 12].

ამ გამონათქვამით ადამ სმიტი სახელმ-
წიფო ხელისუფალთ აფრთხილებდა, რომ გადა-
მხედლების დაბეგრვა მხოლოდ მათი შესაძლე-
ბლობების მიხედვით მოეწყოთ – მდიდრებს მეტი,
ღარიბებს ნაკლები. დაბეგრვის ამ წესს შემ-
დეგში პროგრესული დაბეგრვა ეწოდება. დაბე-
გრვის ამ წესით მუშაობს მთელი ცივილიზე-
ბული მსოფლიო.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ
წლებში საქართველოში პროგრესული დაბეგრვის
წესი მოქმედებდა. ფიზიკურ პირთა საშემოსავ-
ლო გადასახადის განაკვეთები შემდეგნაირად იყო
დифერენცირებული (ცხრილი 1).

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში
საქართველოში მოქმედებდა საშემოსავლო გა-
დასახადის რთული პროგრესული წესი, რაც
ნაზარდი თანხის დაბეგრვაში გამოიხატება. ეს
ჩანს შემდეგი გაანგარიშებებიდან:

➤ 10 000 000 კუპონამდე შემოსავლის
მქონე ფიზიკური პირები იხდიდნენ მის 12%-ს
ანუ 1 200 000 კუპონს;

➤ 20 000 000 კუპონამდე შემოსავლის
მქონე პირველ 10 000 000 კუპონზე კვლავაც
იბეგრებოდნენ 12%-ით ანუ 1 200 000 კუპონით,
შემდეგ კი მას ემატებოდა მეორე 10 000 000
კუპონის 15%-იანი გადასახადი ანუ 1 500 000 ანუ
ამ შემოსავლის მქონე მთლიანად გადაიხდიდ-
ნენ $1\,200\,000 + 1\,500\,000 = 2\,700\,000$ კუპონს;

➤ 30 000 000 კუპონამდე შემოსავლის
მქონე 20 000 000 კუპონზე გადაიხდიდნენ

2 700 000 კუპონს, რომელსაც დაემატებოდა
შემოსავლის დარჩენილი წილის ანუ 10 000 000-
ის 17%, რაც შეადგენდა 1 700 000 კუპონს, ანუ
ასეთი შემოსავლის მქონე მთლიანად გადა-
იხდიდნენ $2\,700\,000 + 1\,700\,000 = 4\,400\,000$
კუპონს;

➤ 30 000 001 და მეტი კუპონის შემოსავ-
ლის მქონე ფიზიკური პირები, 30 000 000 კუპონ
შემოსავალზე გადაიხდიდნენ 4 400 000 კუპონს,
რომელსაც დაემატებოდა 20%-იანი გადასახადი
გამოანგარიშებული მხოლოდ იმ შემოსავლის
მიმართ რომელიც ამ 30 000 000 ლარზე მეტი
აღმოჩნდებოდა. თუ ეს ნამატი იქნებოდა, და-
ვუშვათ 15 000 000 კუპონი, მაშინ გადასახადის
გადამხდელი ამ თანხაზე გადაიხდიდა მის 20%-
ს ანუ 3 000 000 კუპონს, ხოლო მთლიანობაში
გადასახდელი ექნებოდა $4\,400\,000 + 3\,000\,000 = 7\,400\,000$ კუპონი.

ამ წლებში საქართველოში არსებობდა
დაუბეგრავი მინიმუმიც. ეს იყო შრომის ანაზღაუ-
რების თვითი მინიმალური ოდენობა, რომელიც
არ იბეგრებოდა.

პროგრესული იყო საშემოსავლო გადასახ-
ადი ქართული ფულის ერთეულის – ლარის
შემოღების (1995 წ.) შემდეგაც 2005 წლამდე. ამ
პერიოდში საქართველოში მოქმედ საგადასახ-
ადო კოდექსით 200 ლარამდე შემოსავალზე
ფიზიკური პირები იხდიდნენ შემოსავლის 12%-
ს, ანუ 24 ლარს, 201 ლარიდან 350 ლარამდე
შემოსავალზე იხდიდნენ 200 ლარზე კვლავაც
12%-ს, ხოლო ნამეტ 150 ლარზე ($350 - 200 = 150$) – 15%-ს და ა. შ.

2004 წლის 22 დეკემბერს საქართველო
პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერ-
ით ასამოქმედებლად დამტკიცებულ ახალ სა-
გადასახადო კოდექსში ფიზიკურ პირთა პრო-
გრესული საშემოსავლო გადასახადი შეიცვა-
ლა პროპორციული გადასახადით და ყველა
რანგის შემოსავლის მქონეთათვის დაწესდა 12%-
ის ტოლად [5, გვ. 123]. ასე გაგრძელდა 2008
წლამდე. 2008 წელს გაუქმდა რა 20%-იანი სო-

ცხრილი 1

საშემოსავლო გადასახადი საქართველოში 1994 წელს [4, გვ. 18]

ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	გადასახადის სიდიდე
10 000 000 კუპონამდე	შემოსავლის თანხის 12%
10 000 001 კუპონიდან – 20 000 000 კუპონამდე	12 00 000 კუპონს + 10 000 000 კუპონზე მეტი თანხის 15%
20 000 001 კუპონიდან – 30 000 000 კუპონამდე	2 700 000 კუპონს + 20 000 000 კუპონზე მეტი თანხის 17%
30 000 001 კუპონი და მეტი	4 400 000 კუპონს + 30 000 000 კუპონზე მეტი თანხის 20%



ციალური გადასახადი, 12%-იანი საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 25%-მდე და მთლიანობაში თუ 2008 წლამდე ორივე გადასახადი ჯამურად შეადგენდა $20 + 12 = 32\%$ -ს, 2008 წელს იგი დარჩა 25%. 2008 წლიდან სოციალური გადასახადი აღარ არსებობს, 25%-მა საშემოსავლო გადასახადმა კი იარსება 2009 წლამდე, შემდეგ კი, შემცირდა 20%-მდე და ასეა დღესაც.

არც 2005 წელს და არც შემდეგ წლებში, არავის დაუსაბუთებია, რატომ შეიცვალა საშემოსავლო პროგრესული გადასახადი პროპორციულით, ან რით საბუთდება მისი განაკვეთის ასეთი ცვლა: 12% '1 25% '1 20%. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები მიუთითებენ, რომ საგადასახადო დაბეგვრა უნდა იყოს ზომიერი. ჩვენ შემთხვევაში რომელია ზომიერი 12, 25 თუ 20%?

ჯერ კიდევ 2007 წელს, როცა გაუღერდა მოსახლეობისადმი საქართველოს პრეზიდენტის დაპირება, რომ იგი 2008 წლიდან საშემოსავლო და სოციალურ ჯამურ გადასახადს 32%-დან 25%-მდე დაწვეს აპირებდა, რაც კიდევ მოხდა სოციალური გადასახადის მთლიანი გაუქმებით და საშემოსავლო გადასახადის 12%-დან 25%-მდე ამადლებით, ეკონომიკის ექსპერტმა გია ხუხაშვილმა, მასზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „თუ ვინმეს სურდა, რომ ორივე მხარისთვის (იგულისხმება დამქირავებელი და დაქირავებული – გ. ა.) შეღავათი გაეწია, ორივე გადასახადი უნდა დაეტოვებინა, რადგან თითოეულს სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება აქვს, და ორივეს განაკვეთი უნდა შეემცირებინა – საშემოსავლო – 10, სოციალური კი – 15 პროცენტი უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ყველაფერი გარკვეული იქნებოდა. ის რომ ამ ორი გადასახადის გაერთიანებით დამქირავებელს საქმე უმარტივდება არაკვალიფიციური არგუმენტი“ [6, გვ. 27]. ეს მიდგომა და ეს კომენტარი ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია, თუმცა აქაც არ ჩანს, რატომ საშემოსავლო – 10 და სოციალური – 15, პირიქით ხომ არ აჯობებდა ყოფილიყო? სხვათაშორის ჯერ კიდევ 2005 წელს გადასახადების განაკვეთების სათანადო დაუსაბუთებლობაზე პროფესორი გ. მოლაშხიაც წერდა [7, გვ. 25]. მართალია ის ეხებოდა სოციალური გადასახადის 20%-იან განაკვეთს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. საკითხი ეხება იმას, რომ ეს განაკვეთები მეცნიერულად არ საბუთდება და არ (თუ ვერ) საბუთდება იმიტომ, რომ მათ დასაბუთებაში ამ სფეროს მეცნიერები არ არიან ჩართულნი.

2. ფიზიკურ პირთა პროგრესული საშემოსავლო გადასახადის საზღვარგარეთული პრაქტიკა.

ცხადია ერთი სტატიის ფარგლებში, ჩვენ ამ სფეროში მთელი მსოფლიოს პრაქტიკას ვერ წარმოვადგენთ, ამიტომ შემოვიფარგლებით ერთი-ორი ქვეყნით. ერთი იქნება ჩვენი პატარა, მაგრამ მაღალგანვითარებული ქვეყანა – ავსტრია, მეორე განვითარებადი, ანუ საქართველოსდარი პოსტსოციალისტური ქვეყანა – მოლდოვა.

ავსტრია. ავსტრია მეტად რთული საგადასახადო სისტემით ხასიათდება. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო პროგრესული გადასახადი ავსტრიაში 5 კლასიანია (ცხრილი 2). გადასახადის განაკვეთი იწყება 0%-დან და მთავრდება 50%-ით. 0% ვრცელდება 56800 ავსტრიულ შილინგის შემოსავალზე, 50% კი – 700 000-ზე მეტ შემოსავალზე. გამოანგარიშებულ გადასახადებს მაკორექტირებელი თანხები აკლდება. როგორც ცხრილიდან ჩანს ავსტრიაში ფიზიკურ პირთა რეალური დაბეგვრა იწყება 10%-დან და ვარირებს 50%-ის ფარგლებში. როგორც ჩანს, ამ სფეროს ავსტრიელმა კანონმდებლებმა აირჩიეს შემოსავლების განაწილების გაწონასწორებული მოდელი ანუ 50:50-ზე და წარმატებასაც მიაღწიეს. ავსტრია თავისი განვითარების დონით ევროპაში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფოა.

ასეთ განაწილებაზე პროფესორი ზ. ლუდუშაური წერდა: „ეს ის წილებია, რომლებიც აუცილებლად სჭირდებათ მეწარმეებსაც და სახელმწიფოსაც. ამას მოწმობს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ამაზე უნდა აიღოს ორიენტაცია საქართველომაც [9, გვ. 10]. დასაბუთება, რომ მეცნიერთა ეს და სხვა შეხედულებები დღემდე არ იქნა გათვალისწინებული.

მოლდოვა. მოლდოვაში ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი პროგრესულია. გადასახადის შკალა შემდეგნაირია [10, გვ. 23]:

- 6 000 ლეიმდე წლიურ შემოსავალზე – 12%;
- 6 000-დან – 10 800-მდე – 15%;
- 10 800 ლეიზე მეტზე – 25%.

მაშასადამე, განსხვავებით მაღალგანვითარებულ ავსტრიისგან მოლდოვას დაუბეგრავე მინიმუმი არა აქვს, შეძლებულებს კი, რომელთაც 10 800 ლეიზე მეტი წლიური შემოსავალი აქვთ, ახდევინებს არა ავსტრიის დარად 50%-ს, არამედ 25%-ს. დაუბეგრავე მინიმუმი არა აქვთ არც თურქმენისტანს, ყაზახეთს და სხვებს. თურქმენისტანში საშემოსავლო გადასახადის საწყისი განაკვეთი 8%-ია, უმაღლესი კი – 12%.

დასკვნა. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ა. წ. აგვისტოში საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა საქართველოს პროგრესულ საგადასახადო სისტემაზე გადასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. დღემდე ამის შესახებ



ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შპალა ავსტრიაში [8, გვ. 59]

დასაბეგრი შემოსავალი (ავსტრიული სილინგი)	გადასახადის განაკვეთი	მაკორექტებელი თანხა (ავსტრიული შილინგი)
56 800-მდე	0	-
56 900-დან 63 600-მდე	10	25 000
63 700-დან 150 000-მდე	22	11 000
150 100-დან 300 000-მდე	32	26 000
30 000 000-დან 700 000-მდე	42	56 000
700 000-ზე ზევით	50	112 000

მეტი არაფერი თქმულა – ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს შეეხება იგი, მოგების გადასახადს თუ ორივეს ერთად. კარგი იქნება თუ ორივე ერთად განხორციელდება, ხოლო დამატებით, თუ იგი ქონების დაბეგვრასაც შეეხება.

ეს სიახლე ასე განხორციელდება თუ ისე, სასურველია დაიწყოს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის „გაპროგრესებით“.

ამასთან, დასაქმებულ მოსახლეობას აუცილებლად უნდა დავუბრუნოთ თავისი დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც 2014 წელს მივეცით, ხოლო 2016 წელს წავართვი. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ფენის მიმართ ეს იყო სოციალურად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება.

ლიტერატურა

BIBLIOGRAPHY:

1. სვანაძე ს. არაპირდაპირი გადასახადები საქართველოში. ნაწილი II, თბ., 2010, გვ. 125-126 (გვერდების საერთო რაოდენობა 171).
2. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., ბახტაძე ლ., კაკულია რ. გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა, თბ., საფინანსო-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, თბ., 2015, გვ. 90 (გვერდების საერთო რაოდენობა 398).
3. ბაკაშვილი ნ. ფინანსები, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი, თბ., „უნივერსალი“, 2015, გვ. 412 (გვერდების საერთო მოცულობა 431).
4. გადასახადებზე ინსტრუქციების კრებული, მე-3 ნაწილი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური, თბ., 1994, გვ. 18 (გვერდების საერთო რაოდენობა 104).
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა, სპეციალური გამოცემა, თბ., 2005, გვ. 123 (გვერდების საერთო რაოდენობა 192).
6. საგადასახადო შედავათი თუ საზოგადოების მოტყუება, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 4-10 ივნისი, თბ., 2007, გვ. 27.
7. მოლაშხია გ. რა არის და როგორი უნდა იყოს სოციალური გადასახადი, ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2005, გვ. 25 (სტატიის გვერდების რაოდენობა 23-27).
8. ღუდუშაური ზ., შოშიტაიშვილი თ. როგორ ვარგუზლიროთ ეკონომიკა გადასახადებით? ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2006, გვ. 10 (სტატიის გვერდების რაოდენობა 8-10).
9. Налоговые системы зарубежных стран, под ред. В. Князева, М., «Закон и право», 2007, с. 59 (გვერდების საერთო რაოდენობა 189).
10. Бабаев М., Маметалиев Н., Еютюриков Н. Налоговые системы зарубежных стран СНГ, М., 2002.

1. Svanadze S. Indirect taxes in Georgia. Part II, Tb., 2010, p.125-126 (total number of pages 171).
2. Baratashvili E., Abzalava A., Bakhtadze L., Kakulia R. Taxes and Tax Taxation, TB, Educational-Research Research Center for Financial-Economic and Regional Problems, Tb., 2015, p. 90 (Total number of pages 398).
3. Bakashvili N. Finance, Financial Accounting and Audit, Tb., „Universal“, 2015, p. 412 (total volume of pages 431).
4. The collection of tax instructions. Part 3, Republic of Georgia, State Tax Service, Tb., P. 18 (total number of pages 104)
5. Tax Code of Georgia, mag. „Business and Legislation, Special Edition, Tb., 2005, p. 123 (pages 192).
6. Taxpayment or Fraud of the Society, newspaper „Kviris Palitra“, 4-10 June, Tb., 2007, p. 27.
7. Molashkhia G. What is and what should be the social tax, mag. „Business and Legislation“, N. 3, 2005, p. 25 (Article pages 23-27).
8. Gudushauri Z., Shoshitaishvili T. How can we regulate the economy with taxes? mag. „Business and Legislation“, N. 2, 2006, p. 10 (Number of pages 8-10).
9. Tax systems of foreign countries, ed. V. Kyazeva, M., „Law and Rule“, 2007, p. 59. (total number of pages 189).
10. Babaev M., Mametaliev N., Eutyurikov N. Tax systems of foreign countries of the „СНГ“, М., 2002.



THE PROGRESSIVE TAX INCOME IS THE OLDEST FORGOTTEN ONE FOR GEORGIAN POPULATION

GIORGI ASATIANI

Doctoral of GTU

E-mail: asatiani_giorgi@yahoo.com

Summary

The article is a response to the statement of the new Prime Minister of Georgia that proportional tax system operating in Georgia will be replaced by progressive system.

The article points out that the progressive tax system in Georgia until 2005 and Georgia was in full harmony with the developed world. This tax system was completely undocumented in Georgia by the new government in 2004 under the auspices of the Rose Revolution.

The article describes the experience of other countries of the progressive tax system and hopes that its implementation will not expire in Georgia.

Key words: Tax, Progressive taxes; payment system; Income tax, paying physical person, Taxable income.